ტექნიკური დავალება

1.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება

ჰიგიენური და საწმენდი საშუალებების შესყიდვა/მიწოდება.

1.2 საქონლის ტექნიკური პარამეტრები/მომსახურების/სამუშაოს აღწერა(ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

1. პრეტენდენტი ვალდებულია საქონლის მიწოდება მოახდინოს მოთხოვნიდან 3 (ორი) კალენდალური დღის ვადაში.მოთხოვნილი საქონლის რაოდენობა წინასწარ შეთანხმებული იქნება მიმწოდებელთან.

2. პრეტენდენტის მიერ თავდაპირველად დაფიქსირებული პრეისკურანტის საერთო ფასის შემცირების შემთხვევაში, ფასთა კლება უნდა მოხდეს პროცენტულად და პროპორციულად თითოეულ პოზიციაზე.

3. საწმენდი საშუალებების შესყიდვა/მიწოდება სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ის შესაბამისად.

1.3 ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა
დანართი N1-ფასების ცხრილი

1.4 საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.5 საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

ქ.თბილისი, ი.აბაშიძის #51

ტექნიკური მოთხოვნები

2.1.1 მოთხოვნა შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშანთან, პატენტთან, მოდელთან, წარმოშობის წყაროსთან ან/და მწარმოებელთან დაკავშირებით

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია საქონლის მწარმოებელი ქვეყნის, მწარმოებლის/ბრენდის შესახებ.

პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საქონლის მწარმოებელი ქვეყნის, მწარმოებლის/ბრენდის

დასახელების მიუთითებლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ყოველგვარი დაზუსტების პროცედურის გარეშე. ასევე, პრეტენდენტის მიერ დაზუსტებული სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემდგომ შემოთავაზებული საქონლის მწარმოებელი ქვეყნის, მწარმოებლის/ბრენდის დასახელების ცვლილება გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

3.1.1 მოთხოვნა შესყიდვის ობიექტის ნიმუშის შესახებ

3.1.1.1.მიმწოდებელი ვალდებულია სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ნიმუშები წარმოადგინოს სატენდერო კომისიაში წერილობითი მოთხოვნის შემდგომ.

3.1.2 შესყიდვის ობიექტის ნიმუშის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის ვადაში

3.1.3 შესყიდვის ობიექტის ნიმუშის წარმოდგენის ადგილი

ქ.თბილისი, ი.აბაშიძის #51

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1.1 მოთხოვნა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული წინადადების საბოლო ოფასი 20%-ით ან მეტით ნაკლებია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, სატენდერო კომისია პრეტენდენტისგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის ან/და აუდიტორული ან/და საშემფასებლო დასკვნით (პრეტენდენტის მიერ, დასკვნასთან ერთად, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი), შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ დადებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით ან ინვოისით.

4.1.2 ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში

ანგარიშსწორების პირობები

7.2 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

7.2.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
7.2.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.
7.2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტისა და ხელშეკრულების შესრულების დამადასტურბელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ (მიღება–ჩაბარების აქტი/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

7.3 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები

ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში

8.1 ხელშეკრულების პროექტი

საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

ირმა ზუხბაია 577093077, i.zukhbaia@skygroup.ge
ქეთევან ბერსენაძე 577979199 ,k.bersenadze@skygroup.ge